რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გურიელის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| სრულის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა:

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნაწვრილი კაპ., წვრილ... ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მაღაზია.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ხუთი შაური.

სამის თვის ხელის-მოწერა.

პირველის ოკტომბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს გაგზავნით 3 (სამი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

არწრუნის თეატრი

კვირას, 24 ოკტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ორლანი და ლეკვი

კომედია-ხუმრობა 4 მოქმედ. ფრანც. გადმოკ. თ. დ. ერისთავისაგან.

II

ლეკური

დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 20 ოკტომბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: პოლივანოვს და ნოვიცკის სასამართლომ ჩამორთმევა გარდაუწყვიტა სარატოვის სატუსაღოს ზედამხედველის მოკვლისათვის. ხელმწიფე იმპერატორმა აპატია ამათ და მაგიერად დაუნიშნა: პოლივანოვს სამუდამოდ კატორღაში გაგზავნა და ნოვიცკის—12 წლით:

სასამართლომ გამოიტანა გუშინ განჩინება სტასიულევიჩის და გაზ. „ნოვოე ვრემიას“ საქმის თაობაზედ „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორს ფედოროვს გარდაუწყვიტეს სამის თვით ციხეში ჩასმა; ამ გაზეთის თანამშრომელი ბურენინი კი გაამართლეს.

პეტერბურღის ბირჟა, 19 ოკტომბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 — | 37 |
| მეორესი — — — — | 90 — | 25 |
| მესამესი — — — — | 90 — | 75 |
| მეოთხესი — — — | 90 — | 37 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 88 — | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 88 — | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 19½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 209 — | 50 |
| მეორე სესხის — — | 203 — | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — | 9 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — | 62 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253 — | 50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## ჩვენი ქალაქის საქმეები

ტფილისი, 21 ოკტომბერს.

ჩვენი ქალაქის რჩევის უკანასკნელ სხდომებს რაღაც განსხვავებული ფერი ადევს: კაცს ეგონება, თითქო ამ რჩევას ახლა გამოეღვიძოსო, სამის წლის ძილის შემდეგ და, მძიმე საქმეების გადაწყვეტით, ჰსურსო თავის მხნეობა დაუმტკიცოს ქალაქს.

მართლაც, წყლის-გაყვანა, ვერის ხიდის გაკეთება, საცხენო რკინის გზისა და კვარტირის გადასახადზე სჯის ატეხა—ისეთი მძიმე და საყურადღებო საგნებია, რომლის რიგიანად გათავებით ახლანდელს ჩვენი ქალაქის საქმეთა მმართველთ სახელის დამსახურება შეუძლიანთ.

წყლის-გაყვანის საქმე, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქალაქის რჩევამ უკვე გაათავა: ბელგიის კამპანიას (ვან-დერ-ლაატს და ამხ.) მიანდეს ეს საქმე და როცა კამპანია შეასრულებს, ქალაქი მზა-მზარეულს ჩაიბარებს და ფულსაც მხოლოდ მაშინ მისცემს. ამ გვარად საქმის გათავება მით უფრო გამოსადეგია, რომ წყლის გამგეობა რომ კერძო პირს ან კამპანიას ჰქონოდა, ის უეჭველია, თავის მოგებას გამოუდგებოდა და ქალაქი კი, რომელიც პატრონი იქნება წყლისა, ამ მოგებას არ გამოუდგება, რადგან კი ყველა მცხოვრებელს კარგი სუფთა და იაფი წყალი ჰქონდეს.

საცხენო რკინის გზის შესრულებას დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ. უმთავრესი სტანცია საჯინიბოებითა და ვაგონების დასადგმელ თავლებით შენდება (კუკიაში), რელსები და ვაგონები, როგორც ამბობენ გზაზეა და მალე უნდა ჩამოიტანონ; თვითონ რელსების დაწყობა კი ბევრ დროს არ მოითხოვს. კუკის ხიდის გაფართოება დაბრკოლებას არ შეადგენს; ეს საქმე ცალკე კამისიას აქვს მინდობილი, რომელიც, იმედია, ისე მოახერხებს, რომ საცხენო რკინის გზის რელსების დაწყობამ არ შეავიწროვოს ხიდის ორივე მხრით ქვევითა ხალხისა და ფაეტონების სიარული.

ვერის ხიდის გაკეთებას უფრო მო-

(დროების) ფელეტონი, 22 ოკტ.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

ერთს დილით, სტუმრები და ტყვეები გამოსულიყვნენ კარებზედ და ჩამომსხდარიყვნენ გაკუთხულს ხეებზედ. მა მესამე დღე მიდიოდა, რაც ისინი ელოდნენ ისეთს ვისმეს მოსვლას, რომელსაც გზა ეჩვენებინა და წაეყვანა შამილთან. ისინი ამ მოუსვენებლობაში იყვნენ, როდესაც ელბერდ, რომელიც ჩვეულებისამებრ ჩხირსა თლიდა დაიწყო:

— აგერ მესამე დღე გასრულდა და ჯერ გზის მჩვენებელი არაფინა სჩანს.

— რაი ვქნათ, აბა?... ჩვენც მოგვწყინდა ლოდინი, მაგრამ რაი გაეწყობა? უპასუხა იაგომ.

— მოდი გავიაროთ საითმე.

— სად წავიდეთ?

— ძაუგისკენ.

— ძაუგისკენ კარგი იქნება, მაგრამ ტყვეებს რაიღა უყოთ? გააწყვეტინა ჩორამ.

— ტყვეებს რაი უნდათ, დედ-კაცებიც მოუვლიან. უპასუხა ელბერდმა და დაუმატა:—სად ჯანაბაში წავლენ?

— არა ეგრე არ იქნების, თუ გინდა წავიდეთ შამილთან, შენც წამოგვყევი, და გვიჩვენე გზა იქიდგან დავბრუნდეთ ძაუგს.

— იქით მაინც წავიდეთ, თორემ გული აღარ მისვენებს.

ყველას გაუხარდა ელბერდის გადაწყვეტილება და ამისთვის ისინი ამავე დღეს მოემზადნენ წასასვლელად.

თვალ-ჟუჟუნა ბჟანამ და იმისმა დედამ დაუმზადეს საგძალი, მოხუცმა კაცებმა დაულოცეს გზა, უსურვეს ყოველი კეთილი და ყველგან გამარჯვება, ყმაწვილმა ქალებმა უმღერეს თავს ბრუ დამხვევი საომარი სიმღერა და გაისტუმრეს.

იაგო, ჭობა და ჩორა ცხენებზედ შესხდნენ, ელბერდი და მარტია კი ქვეითები გაჰყვნენ, რადგანაც იმათი აზრით ქვეითად მგზავრობა უფრო მარჯვეც იყო და მალიც.

მართლადაც გაბმული უდაბნო ტყეები, გახლართული სვიით და სხვა ხვეულის მცენარეებით, განუწყვეტლივ აყენებდნენ ცხენოსნებს, აძებნინებდნენ უკეთეს გზას, მაშინ, როდესაც ქვეითები-კი შიგა ძვრებოდნენ და გზაში არა ბრკოლდებოდნენ.

— გზაში ცხენს ვუყურაულო, თუ ჩემს თავს? იტყოდა ხოლმე მთიული და დაუმატებდა:—არა, შენი კვნესამე, ასე მირჩევნია!

წინ მიდიოდა ელბერდ, როგორც ბელადი და გზის მჩვენებელი; იმას მისდევდნენ სამი ტყვე და იმათ დანარჩენი ცხენოსნები.

რაკი ისინი გასცილდნენ ზალაშკას, სულ ტყით მოუნდათ სიარული, რადგანაც გზებზედ ეშინოდათ, უსაბედოთ რუსის ჯარებს არ შეჰყროდნენ და ძვირფასი საჩუქარი, რომელიც შამილისთვის მიჰყავნდათ, ხელიდგან არ წასლოდათ.

გაიარეს აჩხოი, მიახლოვდნენ გროზნას და შეუბრუნდნენ ვედენოსკენ ხეობას; ისინი გასცდნენ უკანასკნელს ყაზახების პიკეტს და გავიდნენ უშიშრს გზაზედ. ეხლა ამათ იცოდნენ, რომ სამშვიდობოს იყვნენ და ფ... ი აღარ უნდოდათ.

აქეთ-იქითგან გადმოშვებული შტოები, იხლართებოდნენ ერთმანერთში, არ უშვებდნენ მზის სხივებს და აბნელებდნენ გზას. ვერ მოასწრეს გადადგმა რამდენიმე ნაბიჯისა, როდესაც გაიგონეს:

— ვინა ხართ? შესდექით, თუ თავი გებრალებ თ! და გზის გარდიგარდმო გაკეთებულის სანგლიდგან (ბარიკადა) გადმოეშვირა თოფები.

მგზავრები შესდგნენ და უპასუხეს:

— ჩინელნი ვართ, შამილთან მივდივართ.

— ეგ გიაურები ვილა არიან? უჩვენეს აფიცრებზედ.

— ტყვეები.

— მამულისა და მოძმეთ მოღალატეს, ზევით ღმერთი სჯის და აქ ხალხი. სწორეთ სთქვით!

— ჩვენ კაცნი ვართ, ქუდი გვხურავს, რაც გულში გვაქვს ის ენაზედ. ღმერთი და ჩვენი ნამუსი იყოს თქვენი თავდები! მისცეს პასუხად მგზავრებმა.

ამ სიტყვებს შემდეგ სანგალზედ გადმოვიდა რამდენიმე კაცი, მიესალმნენ ახალ მოსულებს და გაუძღვნენ წინ. ისინი დაკმაყოფილდნენ ამ ფიცით.

რაკი ისინი შაერთდნენ ათიოდე ყარაულებს, მაშინვე ესენი მოეხვივნენ, ჰკითხავდნენ აფიცრების დატყვევების ამბავს, მოხევების ვინაობას და ჰკვირდებოდნენ იმათ სიგულადეს, ქებას ასხამდნენ იმათ გაბედულებას და ვაჟ-კაცობას...

აქ ადგილიდგან იწყობოდა სანგლები და თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ამართულიყო მიუდგომელი კედელი. აქ ამზადებდა შამილ რუსის ჯარების სამარეს, აქ უნდოდა ჩაეფლო თავის ეროსნობის გამანადგურებელნი! და მართლადაც, რომ შეგეხედნათ იმ ადგილებისთვის ქრიანტელი დაგიელიდათ ტანში, იქამდინ რაღაცა მედიდური იდუმალებით სავსე ადგილები იყო. ეს იყო ის ტყე რომელშიაც ისე მეძვრად დასცემოდნენ გრაფს, და დღე გაემწარებინათ იმისთვის.

ძარგა ხანს მოუნდათ სიარული ამ გვარს გზაზედ, სანამ ერთს მინდვრიანს მთაზედ გავიდოდნენ, რომელიც თითქოს განგებ მოტიტვლებულიყო, რომ ხალხისთვის საჯირითო

*) იხ. „დროება“ № 219.

მეტებული დაბრკოლება მოელის: ჯერ ერთი, რომ ამ ხიდის გასაკეთებლად ისეთი ადგილი ამოურჩევიათ, რომელსაც გაღმაც (პუკიაში) და გამოღმაც (ვერაზე) დაბრკოლება მოელის: გამოღმა თავი ხიდისა იქნება პიროჩნის ქუჩის პირ-და-პირ, სადაც წვიმების დროს ისეთი საშინელი ნიაღვარი იცის ხოლმე, რომ ხშირად ფაიტონებსაც იტაცებს. მტკვრის მარჯვენა მხრით, ე. ი. გაღმა მეორე თავი ხიდისა კერძო კაცის ადგილზე უნდა იქმნეს დადგმული, რომლისთვის ეს ადგილი ჯერაც არ შეუსყიდნიათ. რიგი და წესი ითხოვდა, რომ ჯერ ეს მამული შეესყიდნა ქალაქის რჩევას თუ გამგეობას ამ კაცისაგან და მერე გაეცათ იჯარით ამ ხიდის მიწისა და ქვითკირის მუშაობა.

ამას გარდა, ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ქალაქს ჯერ მუხრანიანთ ხიდი გაეკეთებინა და შემდეგ კი ვერისა. მუხრანიანთ ხიდი ქალაქისთვისაც უფრო სასარგებლო იქნებოდა და მცხოვრებლებისათვისაც უფრო აუცილებლად საჭირო და გამოსადეგი. ვერის ხიდი კი თითქმის მარტო რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებლებისა და მემამულეთათვის არის საჭირო.

ბოლოს, ქალაქის რჩევაში ასტყდა ბაასი კვარტირის (სადგომების) გადასახადის თაობაზედ. ეს გარდასახადი არ შეაწუხებს მცხოვრებლებს და ქალაქს კი დიდ სარგებლობას მოუტანს: ერთი რომ იმას მოემატება შემოსავალი და მეორეც, მოემატება ამომრჩეველთ რიცხვს, ისეთ ამომრჩეველთ—განათლებულთ, რომელთაც ქალაქის საქმეების გარდაწყვეტაში ახლა ხმა არა აქვთ. მაგრამ ამ მძიმე საგანზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ყველა ამ ზემო-ჩამოთვლილ საგნების შედეგი და სარგებლობა მხოლოდ შემდეგში აღმოჩნდება,—ახლა კი მხოლოდ ერთი რამ უნდა ვთქვათ: დიდი ხნის საყვედურს ჩვენის ქალაქის გამგეობის შესახებ, რომ არაფერს არ აკეთებენო, ქალაქის საქმეებს ყურადღებას არ აქცევენო და სხვა ამ გვარებს,—ახლა საფუძველი აღარა აქვს: მართლა ნამდვილი მხნეობა და საქმის გაკეთების სურვილი გამოიჩინა ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა ქალაქის გამგეობამ (უპრავამ).

ბოროტი ენები, რასაკვირველია, აქაც იტყვიან, ეს იმიტომაო, რომ მალე ახალი კენჭის-ყრა იქნება ქალაქის რჩევისაო, ახალი გამგეობა უნდა გამოირჩიონო და იმიტომ იჩენენ ამ უკანასკნელ დროს ამისთანა მხნეობასაო, უნდათ ამომრჩევლებს თავი მოაწონონო.

არ შევალთ იმის გარჩევაში, თუ რამდენად მართალია და საფუძვლიანი ეს მოსაზრება; მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ, თუ ზემოხსენებული მოსაზრება საფუძვლიანია, ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ახლანდელი თვით-მმართველობა ძალიან მარჯვე და მოხერხებულ კაცებისაგან ყოფილა შემდგარი და, რადგანაც ახლა ისეთი დროა, რომ ბურთი და მოედანი ამ გვარ მოხერხებულ და მარჯვე ხალხს რჩება, ადვილად შესაძლებელია, რომ მომავალ კენჭის-ყრაში და ამორჩევაშიაც ამათ გაიმარჯვონ...

## დღიური

მუდამ დღე მოგვდის იმერეთის თითქმის ყველა კუთხეებიდან ცუდი მოსავლების ამბავი.

ქუთაისის მაზრაში მოველოდითო, რომ მცირედი ღვინის მოსავალი მაინც ივარგებდაო, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში გახშირებულმა წვიმებმა სანახევროდ ვაზზედვე დაალპო ყურძენი და მერე, აქეთკენ ჩვეულებრივმა „ზენამ" სულ ბოლო მოუღო, ერთიანად ჩამოჰყარა „მაღლარის" ყურძენიო.

რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში ხომ ისე გაფუჭდა მოსავალი, რომ კარგ შეძლებულ მემამულეს, კარგი, თუ სამი-ოთხი თვის სარჩო მოუვიდაო.

ეხლაა ძვირი სწორედ ადგილობრივ მთავრობათა გონიერი განკარგულება, რომ ამისთანა გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხის გარემოებით არ ასარგებლონ ზოგიერთი პირები, რომელთათვისაც სხვათა ჭირი—ლხინია და ამ ჭირის კიდევ გაძლიერება ფარად მიაჩნიათ.

***

დ. ახალ-სენაკიდან გვწერენ:

„ადრე მთავრობის განკარგულებით აქაურის უეზდის სასამართლოის საჭიროებისათვის დანიშნულნი იყვნენ ყაზახი რუსები. შემდეგში ესენი შეცვალეს ცხენოსანი პოლკის რვა კაცით; ამათ ერთი ურიადნიკიც დაუნიშნეს. მაგრამ ამათი დანიშვნის დღიდამვე საჩივრები საჩივრებზე წავიდა მთავრობასთან ბ. მაზრის უფროსისაგან, რომ ესენი უვარგისნი არიან, ვერ ემსახურებიან რიგისებრ სასამართლოს საჭიროებათაო. მთავრობამ შეიწყნარა უფროსის თხოვნა და თითონ მას მისცა წინადადება აირჩიოს კაცები. ბ. მაზრის უფროსსაც ეს უნდოდა. ისეთი პირები ამოირჩია, რომელნიც მასაც გამოსადგომოდა. 3-4 ცხენოსანი, რომელნიც მიუცილებლად სასამართლოსთან უნდა იყვნენ, გაგზავნილი ჰყავს ბ. უფროსს ზურიაში საკუთარის ოჯახის საცველად, სხვები სხვა-და-სხვა თავის საჭიროებათათვის ასე, რომ თითონ სასამართლოს მოთხოვნილებას ერთ მათგანს არ ასრულებინებს თითქმის.

„წასულ ქარიანობისა და სიცხეების დროს სენაკის მაზრის საუკეთესო ტყეებს რომ ცეცხლი ედებოდა, კაცი პატრონი არავინ იყო? ბ. მაზრის უფროსი ამ დროს მოსვენებით ბრძანდებოდა თავის სახლში, ოზურგეთში.

„ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ სასამართლოში ერთ მოხელეს ვერ ნახავ".

***

სენატორ ბერს დაუხედავს ბაქოს სასამართლოები და იქიდამ პირ-და-პირ წასულა პეტერბურღში.

***

ჩვენ მივიღეთ თიონეთიდან დასა-

---

ადგილი დაეგდო. აქ იდგა ბანაკად შამილის რამდენიმე ჯარი, რომელთაც შეატყობინეს, რომ თვით იმამიც გამოვიდა თავისი სადგურიდან და დიდ-ძალის ჯარებით აქ მოდის...

ეს ხალხი პირ-მოკუმილნი, შუბლ შეჭმუხვნილნი ლესავდნენ და უვლიდნენ თავიანთ იარაღს. ყველას პირის სახეზედ, რაღაცა ზრუნვა, რაღაცა იდუმალებით სავსე სიჩუმე ეტყობოდა. არ მოისმოდა არც ჩვეულებრივი ყიჟინა, არც მომეტებული ხმაურობა: აქ იყო სიჩუმე წყნარი და მოაზრებული, რომელიც აშკარად ამბობდა: „დღეს—თუ ხვალ უნდა გადაწყდეს ვიყვნეთ თუ არა?"

ყველას ესმოდა, ყველა ჰგრძნობდა თავიანთ მდგომარეობას, ყველა ემზადებოდა მომავალის ბრძოლისათვის და იცოდა, რომ აქ მარტო უბრალო სროლა არ გაიმართებოდა და ექმნებოდათ საქმე ძალასთან, რომელსაც გადაეწყვიტა, რაც უნდა დასჯდომოდა მაინც უეჭველად გაეარა ეს ადგილები, გაეტეხა ჩეჩნელთ სიგულადე და სიმაგრეები და თითონ დაგვირგვინებულიყო ამ ადგილებში მბრძანებელს ბატონად.

უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანათ სხვა ჩვეულება, სხვა წესები, ვინ იცის როგორი გასაჭირი იქ მცხოვრებელთათვის, გაბატონებულიყვნენ სხვა გვარ-ტომობის ხალხი და ჩეჩენში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა, გაუპატიურება ქალთა და რძალთა... მერე სულ მუდამ სხვა კაცის მბრძანებლობის ქვეშ ყოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური!... მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? ზიაურები!... არა ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევენ იმათ ხელში ჩაცვივნას!...

ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყველა ჩეჩენი და ასეცა ჰქონდა გადაწყვეტილი; ამისთვის იბრძოდნენ ისე თავ-განწირვით, ამისთვის ემზადებოდნენ ისე თავ-გადადებულს ბრძოლას. ამ საერთო შეხედულებას შორდებოდნენ მარტო ის მცირედი რიცხვი ფანატიკებისა, რომელთაც ფიცი დაედონ გაწყვეტილიყვნენ სარწმუნოების გულისთვის (ყაზავათ), მაგრამ ეს რიცხვი ისე მცირედი იყო, რომელზედაც ლაპარაკი არა ღირს.

რადგანაც შამილი აქ უნდა ჩამოსულიყო, ამისთვის იაგომ თავის ამხანაგებით გადაწყვიტეს, რომ დაეცადნათ იმისთვის და ჩამოსვლის შემდეგ მოელაპარაკნათ იმასთან; მერე ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ჭკუა გაუჭრიდა.

იმათ ყველანი ისე უყურებდნენ, როგორც სტუმრებს, ყველანი პატივსა სცემდნენ; თითონ გულადნი და ვაჟკაცნი ჩეჩნები, სტუმრების გულადობას და ვაჟკაცობასაც აფასებდნენ. იმათ ჩამოართვეს ტყვეები, რომელთაც მოუყვნენ სხვა ყარაულები და მით სტუმრები განთავისუფლეს ამ უკანასკნელის ზრუნვისაგანაც.

გაიარა რამდენიმე დღემ, როდესაც ერთს მშვენიერს დილას ხალხში რაღაცა მოძრაობა შეიქნა, ყველანი აღელდნენ, დარბოდნენ წინ და უკან და ერთბაშად მოისმა:

— მოდის, მოდის! და ამ დროს მინდვრის ზენა მხრიდგან, ტყეში გაისმა „ლაი-ლაჰა-იალას" ხმა.

ყველას თვალები მიეპყრო ამ მხარეს და გაჩუმებულნი, სულ-გაკმენდილნი უყურებდნენ იმ მხარეს, საიდგანაც სიმღერის ხმა მოდიოდა.

ცოტა ხანმაც გაიარა და ჯერ ტყის შტოებს შუა აქა-იქ გაელდა მომავალთ იარაღი და ცხენთა მორთულობა და ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მშვენიერი შეხედულების მოხუცი, თეთრის წვერით და თეთრისავე ჩალმით თავზედ! თეთრს გასუქებულს ცხენს, რომელიც გედსავით მოცურავდა, მაღლა და ამაყად თავი ეღლო, თითქოს გრძნობდა, თუ რა მხედარი მოჰყავნდა.

ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩეჩნისა და დაღესტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავ-გადადებული თავის მოძმეთა და მამულისთვის!

იმისი დამშვიდებული სახე, გონივრული და გამომცდელი გამოჭვრეტა, აშკარად ამტკიცებდა ჭკუას, ვაჟკაცობას და სიამაყეს; თხელი ტუჩები გრძნობას და რამდენიმე ხაზი პირისახეზედ ხასიათის სიმტკიცეს.

ყმაწვილი ხალხი, რომელიც წელანვე მომზადებულიყვნენ, ამხედრდნენ და რა თავისი საყვარელი მბრძანებელი დაინახეს მიეგებნენ ცხენების ჭენებით და თოფის სროლით. შამილი მიესალმა იმათ ღიმილით და სიამოვნებით უყურებდა მარჯვე მოვარჯიშეთ და სიცოცხლით სავსე ყმაწვილებს, რომელთაგანაც ზოგს ძლივს აშლოდა წვერ-ულვაში და ლოყები პირველს ბალანს შაემოსა.

პირველი ღიმილის შემდეგ, შამილს შუბლი მცირედ შაეჭმუხვნა და წყნარად ამოიოხრა, მაგრამ ისე სისწრაფით მიიღო ისევ მხიარული სახე, რომ კარგი გამოცდილი თვალი უნდა ყოფილიყო, რომ ეს მოძრაობა შაემჩნია.

რა აზრმა გაურბინა გულში იმ დროს კავკასიის შავარდენს? რამ შეუკრთო ფერი, რამ ამოაოხრა? იქნება იმას ეშინოდა, რომ რუსები ამ ბატონობას, დიდ-კაცობას წაართმევდნენ? ეშინოდა სიღარიბისა? არა შამილს არ ეშინოდა მაგისი. შამილი დიდი ხანია შრომას იყო შეჩვეული, მაგრამ ის იყო კაცი და მაგასთან წარმოუდგენი გულ-კეთილი, ვაჟკაცი და გულადი! რკინასავით შედუღებული, ნაწრთობი ბრძოლის ცეცხლში, იმას არ დაეკარგა ის გულის სინაზე და ლმობიერება, რომელიც განსაკუთრებითი მინიჭებული ღირსებაა სულით ამაღლებულის ხალხისა. თუ საჭიროება მოითხოვდა ის დაუფიქრებლივ, მამულის კეთილდღეობას შესწირავდა პირველიდგან უკანასკნელს კაცამდინ, თითონაც შეჩენაყებოდა წამლად, მაგრამ რა შეხედავდა სიცოცხლით და მშვენიერებით სავსე თავის მამულის შვილებს, რომელთაც სიყმაწვილე ნებას აძლევდა მხიარულს და ბედნიერ ცხოვრებაზედ, რა მოაგონდებოდა, რომ რომელიმე გზა-დაკარგულს ტყვიას შეუძლიან გაუხუნოს ლალის ფერი ტუჩები, გაუქროს აღგზნებული სიცოცხლით სავსე თვალები, მოძრავენი, მოტიტინენი ერთბაშად უძრავს და უსულო საგნად გარდაექციოს—შამილ

...ქლად შემდეგი ამბავი შესახებ იქაურის საამხანაგო დუქანზე (დეპოზე):

„ჩვენი დეპო გაიხსნა 27-ს ოკტომბერს შარშან და დღეს თითქმის ერთი წელიწადია, რაც არსებობს. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა მიზანი აქვს დეპოს და რა მიზნითაც ის დაარსებულა სხვა-და-სხვა ჩვენის საქართველოს კუთხეებში. ეს ის გახლავსთ, რომ იგივე საქონელი, ხორაგეული და დღიურის არსებობისათვის საჭირო საგნები, რაშიაც ჩვენი სისხლთა მწოველი მოვაჭრენი ერთ ხუთად და ერთი ათად გვახდევინებდნენ, ჩვენ რაც შეიძლება იაფად და კეთილ სინიდისიანად გვევაჭრა ჩვენის საამხანაგო დუქნის შეწევნობით. ამნაირივე მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს დეპოსაც. პირველად დაწყების ხანებში იგი თითქო აკმაყოფილებდა კიდეც ყველა ამას, სანამ ეს ბედ-შავი დეპო ჩაუვარდებოდა ხელში ორ პირთ: სიძე სიმამრს ცისკაროვს და ვილაც ღალაქიშვილ—წულუკიძეს. წინედ ამ საქმეში მონაწილეობის მიღების მსურველნი ბევრნი გამოჩნდნენ, ყველას სურდათ შეეტანათ თავ თავიანთი წილი ფული, რომ ამხანაგნი გამხდარიყვნენ და დღეს კი ისეთ ნაირად წაიყვანეს ამ ბატონებმა საქმე, რომ არამც თუ ახალი ამხანაგობის მსურველი გამოჩნდეს ვინმე, ძველებიც კი ცდილობენ რამე რიგად გამოიტანონ ფული, რომ მით ყოველი ამხანაგობის კავშირი მოსპონ ბ. ღალაქიშვილ—წულუკიძესთანო. რა სიკეთეს უნდა მოელოდეს იმ დეპოდამ კაცი, სადაც პრიკასჩიკად ის პირი დაუყენებიათ, რომელთ გვარ-ტომის წინააღმდეგ ჩვენ ჩვენი დეპოს გახსნა გავიძრახეთ. პრიკასჩიკად სომეხი ჰყავსთ“.

ჩვენ ეს პატარა შენიშვნა ჯერ-ჯერობით მოკლე წინასიტყვაობად მიგვაჩნია ამ საქმეზედ, რომლის გარკვევას თვით ამ ბატონთაგან მოველით.

## „ჩვენი ქართველ კათოლიკობის“ სტატიის გამო.

„დროების“ 215 ნომერში წავიკითხეთ სტატია, რომელშიაც გამოხატულია ქართველ კათოლიკობის ფანატიური მდგომარეობა, მათი გაუგებრობა ეროვნობისა და სამღვდელოების მავნებელი გავლენა მრევლზედ. ეს სტატია ეგრეთვე შეეხება კათოლიკების სკოლებს და ამ სკოლების სწავლის სისტემას. ავტორს სტატიისა არც კათოლიკის ქალები დაუტოვებია უყურადღებოდ და მეტისმეტად გაუბრაზებია ის კათოლიკის ქალების ხავერდის ყდიან სალოცავ წიგნებს.

ამას წინად ჩვენ თვითონ დავბეჭდეთ „დროებაში“ სტატია კათოლიკის სკოლების შესახებ. დღევანდელი კათოლიკების სკოლები, როგორც დაინახამდა მკითხველი იმ სტატიიდან, აღარ არიან ის სკოლები, რომელნიც არსებობდნენ რამოდენიმე ხნის წინად კათოლიკების სამრევლოში. თვით განსვენებულმა დონ—ანტონმა, განუდრეკელმა სხოლასტიკმა, უკანასკნელ თავის დღეებში ვეღარ შესძლო დროების მოთხოვნილები წინაშე ბრძოლა და იძულებული იყო მოეხდინა საჭირო ცვლილებანი ყმაწვილების აღზრდაში. დონ—ანტონის გარდაცვალების შემდეგ, ქუთაისის კათოლიკების სკოლებმა მიიღეს ის სახე, რომელიც აქვსთ საზოგადოდ ყოველივე პირველ-დაწყებით სკოლებს პედაგოგიურ საფუძვლებზედ დაფუძნებულთ.

საქალო კათოლიკების სკოლა დაფუძნებულია ღარიბი ქალების აღსაზდელად, რომელთაც არ შეუძლიათ მიიღონ სწავლა საშუალ-სასწავლებლებში. რამოდენიმე წლის განმავლობაში ყმაწვილი ქალი იღებს აქ სრულ პირველ დაწყებით სწავლას თავის სამშობლო ენაზედ. სწავლა ყველა საგნებისა დედა-ენაზედ არის. საგნებსაც იმ გვარს ასწავლიან, რომელნიც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ცხოვრებისათვის: ლოცვები, საღმრთო წერილი, ქართული ენა, არითმეტიკა, საზოგადო და საეკკლესიო ისტორია, საზოგადო გეოგრაფია, ჭრა, კერვა, ქარგვა, ქსოვა და სხვა ხელ საქმენი შეადგენენ უპირველეს საგანთა სკოლისა. ამ ბოლო დროს სკოლის მზრუნველთა შეიტანეს სკოლის საგნებში საქართველოს გეოგრაფია და მოკლე საქართველოს ისტორიაც. ამიტომ რუსულ ენასაც ასწავლიან და ეს ენა შედის, როგორც საგანი მესამე განყოფილებაში. სხვა-და-სხვა მოსაზრების გამო რუსული ენის მოსპობა ჰსურდათ, მაგრამ აღმოჩნდა დამაბრკოლებელი მიზეზი, ანუ უკეთ ვსთქვათ დამაბრკოლებელი პირნი. მასწავლებელნი-ქალნი ქართველები არიან (რიცხვით ხუთი) და საშუალ-სასწავლებელში აღზრდილნი ორის გარდა. რაც შეეხება წესებს და სისტემას იმ გვარივე იხმარებიან, რომელნიც ნაცნობი არიან საუკეთესოდ სწავლის წარმატებისათვის. ყმაწვილები უქმე-დღეების გარდა არ არიან ვალდებულნი დაესწრონ წირვა-ლოცვას და იდიაკვნონ, როგორც ამბობს ბ. ავტორი.

ვგონებ, ამ გვარი სკოლა უფრო სასარგებლოა და ნაციონალური ფერიცა აქვს, ვინემ იმ სკოლებს, ბ. აკაკისა არ იყოს, სადაც ისმის „კოზლიკის“ და „ბაბუშკის“ ყაყანი.

საქალებო სკოლა დააფუძნეს თვით კათოლიკეს ქალებმა თავიანთ საშუალებით. შეადგინეს ქველ-მოქმედი საზოგადოება, რომლის წევრნი იხდიან წელიწადში თუთხმეტს მანეთს და გარდა ამისა კერძო შეწევნასაც არ აკლებენ. მაშ ხავერდის ყდიან სალოცავის წიგნის მქონე ქალებს უფრო წინ-წაუდგამთ ფეხი კაც-მოყვარეობაში, ვინემ „მარათი“ პრანჭვია ქალბატონებს.

სავაჟო სკოლას ქუთაისის კათოლიკებისას სულ სხვა მიზანი აქვს, ვინემ საქალო სკოლას. ეს სკოლა არსებობს ყმაწვილების გასამზადებლად საშუალ-სასწავლებლებში და ეს მიზანი სისრულეშიაც მოჰყავს. ყოველ წლივ შედიან ამ სკოლიდან ბავშები გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში. წლეულს შვიდმა შაგირდმა დაიჭირეს ეგზამენი და მიღებულნიც იქმნენ.

გარდა ამისა, ამ უკანასკნელ დროს

---

გული უდუღდა, მწარის ოხვრით წარმოათქმევინებდა ღვთის სახელს და წარმოუდგენად სტანჯავდა. შამილი მამა იყო—დანარჩენი იმის შვილები; შამილი ჰგრძნობდა იმას, რასაც ჰგრძნობს მშობელი, როდესაც თავის თვალით უყურებს მებრძოლს შვილს და იმის ყოველი დაკვრა, ყოველი ტკივილი მშობელს მწარე ხაზად ესმება გულში! მაგრამ სამშობლოს სამსახურს, მამულის თავისუფლებას ის მაღლა აყენებდა თავის მშობლიურ გრძნობაზედ, თავის პირად შეხედულებაზედ. შამილი იბრძოდა იმისთვის, რომ თავის სამშობლოს დღეგრძელებას და ბედნიერებას თავისუფლებაში ხედავდა და დღესვე, რომ დარწმუნებინათ, რომ იმის მოძმეთათვის მეტი საბედნიერო სხვა რიგი მოქმედება იქნებოდა—ის ბრძოლას თავს დაანებებდა, აიღებდა ყავარჯენს და მწყემსად ცხვარს მოუდგებოდა*).

შამილი შემოერია ხალხს, რომელნიც ყიჟინით და ხმაურობით მიეგებნენ, მიესალმნენ. ყველა უცინოდა, ყველა შესტრფოდა და თითონ შამილიც დაკმაყოფილებული ამ გვარის მიღებით, სიამოვნებით ღმერთს ავედრებდა თავის ხალხს და იმათი საქმის წარმართობაში მოყვანას. ისა ჰგრძნობდა, რომ ამ ხალხს უყვარს, ეს ხალხი ენდობოდა მას და ისიც ხარობდა, როგორც ბედნიერი მშობელი!

ის მივიდა იმისთვის აშენებულს ქოხთან, ჩამოხტა ცხენიდგან, შევიდა იარაღის ასახსნელად. მოხუცებული, მაგრამ მოუღალავი იმამი, მაშინვე ისევ გამოვიდა, რათა მოესმინა ნაიბებისგან ყოველისფერი და მიეცა საჭირო განკარგულება. იმას შემოეხვივნენ, უანბეს ჯარის მდგომარეობა, ადგილებისა და გზების გამაგრება, მისცა რამდენიმე შენიშვნა და მერე მიუბრუნდა ხალხს.

— ხალხო! შვილს მამის სიყვარული, და ნდობა უნდა ჰქონდეს!.. ნაიბი მამა არის იმ ხალხისა, ვისაც წინ მიუძღვება ბრძოლის დროს და ვინც მშვიდობიანობის დროს თავის საზოგადოების საქმეს განაგებს. ვინ არ არის კმაყოფილი თავის ნაიბისა?! მითხარით.

ხალხში რაოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ისინი დაიყვნენ საზოგადოებად და დაიწყეს რჩევა. გამოდგა, რომ მარტო „ქანტუშის“ საზოგადოებამ გამოაცხადა უკმაყოფილება თავის ნაიბზედ.

— ხალხო! დაიწყო ისევ შამილმა. —ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ნაიბს სიმართლიანობის გარდა ვაჟკაცობა, სიგულადე და მოაზრებაც უნდა ჰქონდეს... ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს თუ ხვალ გიაურებს უნდა შევებნეთ და გამოცდილი მეომარი ძვირათა ღირს თქვენთვის... „ქანტუშის“ ნაიბი განთქმულია ბრძოლაში.

— არ გვინდა, არა. იყო საერთო პასუხი.

— თქვენ იცით, მაგრამ კარგად იფიქრეთ... ზულ აჩქარებით წამხდარი საქმე, თავის დღეში აღარ გასწორდება. იფიქრეთ.

— ვიფიქრეთ, ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ძველი ნაიბი აღარ გვინდა. მისცეს ისევ პასუხად.

შამილმა აღარა ჰკითხა მიზეზი რატომ არ უნდოდათ, იმისთვის საკმაის იყო ხალხისგან უკმაყოფილების გამოცხადება; ხალხს არ უნდოდა, ძველი ნაიბი, ხალხს გული არ ედოთ იმისკენ და შამილის აზრით ის სარგებელსაც ვეღარ მოუტანდა ვერც იმ ხალხს, რომელიც იმას აღარ ენდობოდა და ვერც იმ საქმეს, რომლისთვისაც აქ შეყრილიყვნენ. ის მიუბრუნდა ქანტუშის ნაიბს, რომელიც იქავე გაფითრებული იდგა.

— „ქანტუშის“ ნაიბო! გაიგონე?.. შენს ხალხს აღარ უნდიხარ ნაიბათ... აიხსენ ნაიბის ნიშანი.

ნაიბმა ხმა ამოუღებლივ, მთრთოლარე ხელით აიხსნა ნაიბობის ნიშანი და დაზდო შამილის გვერდიდ, მერე გამობრუნდა და წყნარად გამოვიდა თავის საზოგადოებაში; ამ დღიდგან ის შეიქნა უბრალო მეომრად და იმის ბძანების აღმსრულებლად, რომელსაც თითონ, გუშინ უბრძანებდა და დღეს ხალხისაგან იქმნა ამორჩეული.

— ვის ნიშნავთ ახალ ნაიბად? იკითხა შამილმა.

— მალსაგს, მალსაგს! შეჰყვირა ხალხი, საიდგანაც გამოცალკევდა ლამაზად მოყვანილი შავწვერა ყმაწვილი კაცი და მივიდა შამილთან, რომელმაც აიღო ნაიბობის ნიშანი.

— მალსაგ! შენმა საზოგადოებამ ამოგარჩია ნაიბად, დღეიდგან იმათ ბედ იღბალი შენს ხელთ იქნება... რაც მეტი სისხლი შენის მიზეზით და მოუაზრებლობით დაიღვრება, მაჰმადი მოგკითხავს იმის ანგარიშს... გამარჯვებითამც გიყლია! დაბოლოვა მოკლე სიტყვა შამილმა და ჩამოჰკიდა ნაიბობის ნიშანი*).

ამის შემდეგ შამილი ნაიბებით შევიდნენ ქოხში, სადაც საერთოდ უნდა გადაეწყვიტად, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგს ბრძოლაში.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

*) რომ შამილ სწორეთ ასეთი იყო და არა თუ დაჟინებული დესპოტი, რომელიც გულის განზრახვას ანაცვალებს ყველა საბუთებს, მტკიცდება იმის ცხოვრებიდგან ათასის მაგალითებით, როგორც „ყაზი-მახამეთის და შამილის განხეთქილება“ სადაც პირადი კმაყოფილება ანაცვალა, თავის ქვეყნის სარგებლობას და სხვა...

*) ყველგან არა ჰქონდათ ნაიბების ამ გვარად არჩევის ნება. იმ ადგილებში, სადაც რუსები ყოფილიყვნენ და მერე ისევ იმას დაენარჩა, შამილ თითონ ნიშნავდა ნაიბებს რადგანაც ვერა ნდობოდა ცოტას სნით მაინც არის მიკარებულებს „გიაურებთან“. ავტ.

ზოგიერთმა სამღვდელო პირებმა თავის თავზედ მიიღეს სკოლის დახმარება და, იმედი გვაქვს, სავსე სკოლასაც ადრე-თუ-გვიან უფრო კარგი მდგომარეობა ექნება.

რაც შეეხება სამღვდელოების გავლენას მრევლზე და კათოლიკე მრევლის ფანატიკობას, რომ დავაკვირდეთ კარგად შევნიშნავთ ამ გავლენის და ფანატიკობის დაუსტებას. ქუთაისში არა ერთხელ იყო მაგალითი ამ უკანასკნელ დროში, რომ კათოლიკის ქალები გაყვენ ცოლებად სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა.

დასასრულ განაწილება ორ ძმათა შორის სხვა-და-სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა, რასაკვირველია მავნებელი მოვლინებაა ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მაგრამ ამ განაწილებას ჩვენ ვსთვლით დროებითად.

ალ. აკოფაშვილი.

ქ. ქუთაისი, 17 ოკტომბერს.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

კაპიტნარის სტანციაში ისყიდება ორასი საჟენი რცხილის შეშა კუთვნილი აზნაურთ მამუჩარ და ილიკო ლორთქიფანიძეებისადმი.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდენ კაპიტნარში იყიდონ ერთობით ანუ ნაწილ-ნაწილად და ფასი შეშის ჰკითხონ იქვე მოვაჭრე ებრემიძეს. (1—1)

ინგლისის
# მაღაზია
*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— ,, |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— ,, | — | —3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—4)

**ლირსეულს და განათლებულს**

ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება მთაწმინდაზე, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—8)

**უმაწვილი ქალი,** რომელმაც კარგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, **ეძებს ალაგს მკერავათ პატიოსან სახლში ცხოვრებით.** ადრესი გაბაშვილის სახლში, ვერაზედ № 4 (8—4)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

სამსტატო ინსტიტუტში კურს დასრულებულს ქსურს აძლიოს

**გაკვეთილები**

პირობების შეტყობა შეიძლება „დროების" რედაქციაში. (10—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

**ახალი ქართული**

# კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

საწერი

# დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქართულისა მოთხრე თაბახზე, შეიცავს ხუთს სავარჯიშოს მაგალითს: 1) ანბანის დედანს მხედრული ხელისას; 2, მაგალითის მხედრული ხელით წიგნიდამ გადმოწერისას; 3) ანბანის დედანს გამხედრული ხელისას; 4) დედანს (იგივე მაგალითი) გამხედრული ხელით გადმოწერისათვის; 5) უმთავრესს საჭირო მაგალითის ასოების მხედრული გადაბმისას.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

**ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი**

# მოთხრობანი

წიგნი მეორე.

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# ეროზა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ


**ტაქსია**

**საჭმელ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და ვაჭრობებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Октября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი